

სახელი, გვარი, ტელეფონი

სკოლა

ამოცანები, რომლებიც 2 ბალით ფასდება



1) რა რიცხვია ორ ოცეულზე ერთი ათეულით მეტი რიცხვი?

- 1) 30 2) 40 **3) 50** 4) 60

2) რამდენი ვარსკვლავია მოცემულ ნახატზე გაფერადებული?



- 1) სამი **2) ხუთი** 3) ექვსი 4) რვა

3) ქვემოთ მოცემული რამდენი უტოლობაა მცდარი (არასწორი)?

- $27 > 65$ $212 > 311$ $414 < 712$ $159 < 421$

- 1) ერთი **2) ორი** 3) სამი 4) ოთხი

4) ქვემოთ მოცემული რომელი მაგალითის პასუხია არასწორი?

- 1) $25 + 5 = 30$ 2) $88 - 8 = 80$ **3) $45 - 3 = 24$** 4) $20 + 30 = 50$

5) კოტემ ტყეში 17 სოკო იპოვა, გიორგიმ – 2-ით ნაკლები, ნოდარმა კი – იმდენი, რამდენიც გიორგიმ. სულ რამდენი სოკო იპოვა ნოდარმა და გიორგიმ ერთად?

- 1) 32 სოკო **2) 30 სოკო** 3) 15 სოკო 4) 13 სოკო

ამოცანები, რომლებიც 3 ბალით ფასდება



6) რას უდრის უმცირესი ორნიშნა რიცხვისა და უდიდესი ერთნიშნა რიცხვის ჯამი?

- 1) 11-ს 2) 18-ს **3) 19-ს** 4) 20-ს

7) რამდენით მეტია 20-ის წინა რიცხვი უმცირეს ორნიშნა რიცხვზე?

- 1) 9-ით** 2) 10-ით 3) 11-ით 4) 19-ით

8) ნიკამ 8 სათამაშო მეგობარს აჩუქა, ამის შემდეგ მას 28 სათამაშო დარჩა. რამდენი სათამაშო ჰქონია ნიკას თავდაპირველად?

- 1) 36** 2) 28 3) 26 4) 20

9) რას უდრის გამოტოვებული რიცხვების ჯამი? 3; 5; 7; ; ; 13;

- 1) 9-ს 2) 11-ს 3) 19-ს 4) 20-ს

10) რამდენი ლუწი რიცხვია სამიდან ჩვიდმეტამდე?


- 1) თორმეტი 2) ცამეტი 3) შვიდი 4) ექვსი

ამოცანები, რომლებიც 5 ბალით ფასდება



11) რამდენი სამკუთხედია გამოსახული მოცემულ ნახაზზე?

- 1) ორი 2) სამი 3) ოთხი 4) ხუთი



12) სალომეს ფული საერთოდ არ ჰქონდა. მას ბებიამ ოთხი ცალი ორლარიანი მისცა. რამდენი ლარი აკლდება სალომეს ოცლარიანი სათამაშოს საყიდლად?

- 1) 18 ლარი 2) 16 ლარი 3) 12 ლარი 4) 8 ლარი

13) რა რიცხვი უნდა მიეზღებოთ 11-ის მომდევნო რიცხვს, რომ მივიღოთ 20?

- 1) ცხრა 2) რვა 3) შვიდი 4) ექვსი

14) რა მიიღეს, თუ შემდეგი რიცხვებიდან: 9, 6, 17, 16, 38, 5 ყველაზე დიდ ლუწ რიცხვს უშეცდომოდ გამოაკლეს ამავე რიცხვებს შორის ყველაზე პატარა კენტი რიცხვი?

- 1) თერთმეტი 2) ოცდათერთმეტი 3) ოცდაცამეტი 4) ოცდაჩვიდმეტი

15) ქვემოთ მოცემული რომელი წინადადებაა ჭეშმარიტი (სწორი)?

- 1) თორმეტის წინა რიცხვია ცამეტი 2) თორმეტი არის ერთ ათეულზე ორით მეტი
3) თერთმეტის წინა რიცხვი ათზე მეტია 4) ხუთის წინა და მომდევნო რიცხვების ჯამია შვიდი

ამოცანები, რომლებიც 7 ბალით ფასდება



16) კახას აქვს 1 დეციმეტრი სიგრძის ჯოხი, ირაკლის აქვს 10 სანტიმეტრი სიგრძის ჯოხი, ვახოს აქვს 1 მეტრი სიგრძის ჯოხი, ხოლო სანდროს კი – 10 მილიმეტრი სიგრძის ჯოხი. ვის აქვს ყველაზე მოკლე ჯოხი?

- 1) კახას 2) ირაკლის 3) ვახოს 4) სანდროს

17) ბლოკნოტი 20 თეთრი ღირს, ფანქარი – 15 თეთრი. რამდენი ეკუთვნის ხურდა მაიას 1 ლარიდან, თუ ის იყიდის ორ ბლოკნოტს და სამ ფანქარს?

- 1) 10 თეთრი 2) 15 თეთრი 3) 20 თეთრი 4) 65 თეთრი

18) რა რიცხვი უნდა გამოვაკლოთ 20-ს, რომ მივიღოთ ყველაზე დიდი ერთნიშნა რიცხვი?

- 1) ცხრამეტი 2) თერთმეტი 3) ცხრა 4) ერთი

19) რა რიცხვი უნდა ეწეროს კითხვის ნიშნის მაგივრად?

2, 2, 4, 3, 3, 6, 4, 4, 8, 5, 5, ?

- 1) ექვსი 2) ცხრა 3) ათი 4) თორმეტი

ამოცანები, რომლებიც 8 ბალით ფასდება



20) თემოს აქვს ორი ოცთეთრიაანი. რამდენი ოცთეთრიაანი უნდა მისცეს მას ნატომ იმისათვის, რომ თემოს გაუხდეს ერთი ლარი?

- 1) სამოცი 2) ორმოცი 3) სამი 4) ერთი

21) რას მივიღებთ, თუ შევკრებთ 5-ზე მეტ და 12-ზე ნაკლებ ყველა ერთნიშნა რიცხვს?

- 1) 30-ს 2) 35-ს 3) 51-ს 4) 68-ს

22) თუ ქვემოთ მოცემულ რიცხვებს ჩაეწერთ ქართულად, რომელი რიცხვის ჩანაწერში იქნება მხოლოდ ერთი ცალი „მ“ ასო?

- 1) 67 2) 94 3) 51 4) 27

23) რა რიცხვია ისეთი, რომელიც იმდენითაა 26-ზე მეტი, რამდენითაც ნაკლებია 46-ზე?

- 1) 30 2) 34 3) 36 4) ასეთი რიცხვი არ არსებობს

ამოცანები, რომლებიც 10 ბალით ფასდება



24) მაგიდაზე წითელი, ყვითელი და მწვანე თითო-თითო ბურთი იდო. ნოდარმა და ლევანმა მაგიდიდან თითო-თითო ბურთი აიღეს. ნოდარმა აიღო ყვითელი ბურთი, ლევანს კი არ აუღია წითელი ბურთი. რა ფერის ბურთი აიღო ლევანმა?

- 1) წითელი 2) ყვითელი 3) მწვანე 4) ამის გაგება შეუძლებელია

25) ოთხ მეგობარს აქვთ წიგნები. ლალის უფრო ცოტა წიგნი აქვს, ვიდრე თემოს. რეზოს უფრო მეტი წიგნი აქვს, ვიდრე ლალის. ნინოს თემოზე ნაკლები წიგნი აქვს, რეზოს კი – თემოზე მეტი. ვის აქვს ყველაზე მეტი წიგნი?

- 1) რეზოს 2) თემოს 3) ნინოს 4) ამის გაგება შეუძლებელია

26) მაღაზიაში ქუდი 26 ლარი ღირდა, ხელთათმანები კი – 32 ლარი. საახალწლო ფასდაკლებაზე თითოეულის ფასი განახევრდა. კიდევ რამდენი ლარით უნდა დაიკლოს ხელთათმანების ფასმა, რომ იგი იმდენივე ღირდეს, რამდენიც ფასდაკლების შემდეგ ღირს ქუდი? (იგულისხმება, რომ ქუდის ფასი მეორედ აღარ შეიცვლება)

- 1) 3 ლარით 2) 6 ლარით 3) 10 ლარით 4) 19 ლარით

27) კესოს მხოლოდ ორმოცდაათეთერიანი ჰქონდა, რომელიც სულ ათეთერიანებად დაახურდავა. თომას მხოლოდ ორი ლარი ჰქონდა, რომელიც სულ ორმოცდაათეთერიანებად დაახურდავა. ნინოს მხოლოდ ოცეთერიანი ჰქონდა, რომელიც სულ ხუთეთერიანებად დაახურდავა. რომელს აქვს ახლა ყველაზე მეტი მონეტა: კესოს, თომას, თუ ნინოს?

- 1) კესოს 2) თომას 3) ნინოს 4) ერთნაირად

28) თევზის ცხვირიდან კუდის ბოლომდე 31 სანტიმეტრია, თვალიდან კუდის ბოლომდე კი – 24 სანტიმეტრია. რამდენი სანტიმეტრია თვალიდან ცხვირამდე?



- 1) 17 სანტიმეტრი 2) 13 სანტიმეტრი 3) 7 სანტიმეტრი 4) 3 სანტიმეტრი

29) მასწავლებელმა დაფაზე სამი რიცხვი დაწერა: 12, 13 და 14. მოსწავლემ რვეულში უნდა ჩაწეროს დაფაზე დაწერილი თითოეული რიცხვის მომდევნო რიცხვი. რამდენ ისეთ რიცხვს ჩაწერს მოსწავლე რვეულში, რომელიც არ წერია დაფაზე?

- 1) ერთს 2) ორს 3) სამს 4) ოთხს

30) ლადო მაგიდიდან იღებს ჩხირებს და კრავს ათეულებად. მარიამიც იღებს ჩხირებს და კრავს ოცეულებად. რამდენი ათეული იქნება ლადოს მიერ გაკეთებულ ოთხ შეკვრაში და მარიამის მიერ გაკეთებულ სამ შეკვრაში ერთად?

- 1) ახი 2) ორმოცი 3) ათი 4) შვიდი

31) ანა და გვანცა ხურდა ფულს აგროვებენ. ანა აგროვებს მხოლოდ ხუთეთერიან მონეტებს, გვანცა მხოლოდ – ერთეთერიან მონეტებს. მათ ერთად 23 თეთრი შეაგროვეს. რამდენი ცალი მონეტა შეუგროვებია ანას, თუ გვანცამ უფრო ცოტა მონეტა შეაგროვა, ვიდრე ანამ?

- 1) სამი 2) ოთხი 3) თხუთმეტი 4) ოცი

32) სოფიკო შარშან 7 წლის იყო. გელა სოფიკოზე 2 წლით უფროსია. რამდენი წლის არის გელა წელს?

- 1) 6 წლის 2) 8 წლის 3) 9 წლის 4) 10 წლის

მონიშნე შენთვის სასურველი პრიზი!
(შეგიძლია მონიშნო მხოლოდ ერთი პრიზი)















